№ 271 25 დეკემბერი, შაბათი. 1866—1882 25 დეკემბერი, შაბათი. № 271.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერასიმის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:
მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
[illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ზე 8 კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

მომავალ 1883 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება"

გამოვა იმავე პროგრამმით დ წესით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

რედაქციას იმედი აქვს, რომ ზოგიერთ ახალი თანამშრომლებისა დ სხვა ღონისძიების შემწეობით, მომავალის წლიდამ გააუმჯობესოს თავის გაზეთი დ ისეთი ცვლილება შემოიღოს იმის გამოცემაში, რომლისთვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დარჩებიან.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების" რედაქციის კანტორაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში:—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში:—დევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба".

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: . . . . . . | 9 მან. | სამის თვით . . . . . . . | 3 „ |
| ნახევარის წლით . . . . . | 5 „ | ერთის თვით . . . . . . . | 1 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი დ გვარი დ საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი")

23-ს დეკემბერს.

პეტერბურღი. ამ წლის დამდეგიდამ 1 დეკემბრამდინ რუსის რკინის გზებზე სულ 30 მილიონი პასაჟირი იყო, საქონელი გადაიტანეს 1176 ფუთი. შემოსავალი ჰქონდათ რკინის გზებს 175 მილიონი მან,, შარშანდელზე 18 მილ. მომეტებული.

ოდესსა. 1883 წ. ქალაქი ორ მილიონ მან. მოელის.

ბუდა პეშტი. პოლიციას შეატყობინეს, რომ იტალიის მუშები ავსტრიის ტახტის მემკვიდრეს მოკვლას უპირებენო.

ბერლინი. მდ. რეინი თან-და-თან მატულობს; მაინცის მახლობლად წყალმა გემი გადააბრუნა 70 კაცი დაახრჩო; ამ გვარივე უბედურება მანგეიმის მახლობლათაც მოხდა.

პარიჟი. გამბეტტას დასაფლავებაზედ საფრანგეთის ყველა დეპარტამენტებისა და ქალაქების დეპუტატები მოვლენ უანგარიშო ხალხი მიდის „ვილ-დავრეში" (სადაც გამბეტტა მიიცვალა) მიცვალებულის გვამის თაყვანის-საცემლად. ბალზამით გაკეთებული გვამი გამბეტტასი ტყვიის კუბოშია ჩასვენებული; ზემოდამ ნაციონალური დროშა აქვს გარდაფარებული. დღეს საღამოს მიცვალებულს ბურბონის სასახლეში გადაასვენებენ. დასაფლავებაზე მღვდლები არ დაესწრებიან. ტეუშვილია, ვითომც გამბეტტას უკანონო შვილი დარჩაო.

პეტერბურღი. მთავრობის განკარგულებით გაზ. „გოლოსს" აღუკრძალეს ცალკე ნომრების გაყიდვა.

გაზ. „ახალ დროებაში" დაბეჭდილია, რომ თ. ვიაზემსკის მაგივრად, ბეჭდვის საქმეების გამგეობის უფროსად ინიშნება განათლების სამინისტროს ჟურნალის რედაქტორი ფეოქტისტოვი.

იანვარში ედინბურგის გერცოგსა და იმის მეუღლეს მოელიან პეტერბურღში.

18 დეკემბერს ქ. ტვერში ჩამოახრჩვეს ნიკოლაევსკი, რომელმაც საპყრობილის ზედამხედველის მოკვლა განიზრახა.

პეტერბურღის ნაფიცი ვექილები დაფნის გვირგვინს გზავნიან პარიჟში გამბეტტას საფლავზე დასადებათ.

პარიჟი. გამბეტტას პარასკევს კი არა შაბათს დაასაფლავებენ.

## გამოსათხოვარი ანგარიში

აგერ ოც-და-ხუთი წელიწადი გახდება, რაც ჩვენ სამოქმედო სარბიელზედ ნებით გამოვსულვართ. მაშინ ჯერ კიდევ პირტიტველაები ვიყავით და ყოვლიფერი ვარდის-ფრად გვეჩვენებოდა და ახლა კი, ჭაღარა-გამორეულები, ყოველგან ეკალსა ვხედავთ.

ამდენი ხნის განმავალობაში, ბევრი რამ საწყენი დაგვიწერია, ბევრი რამ უსიამო გვითქვამს ჩვენის მოძმეებისათვის, მაგრამ ეს სანანებლად არა გვრჩება და თუ ვსწუხვართ, მხოლოდ იმას, რომ უფრო მეტის წერის ნება არა გვქონდა, უფრო გამბედავად არ ვამბობდით და რაც ვსწერეთ და ან რაცა ვსთქვით, ის ჩვენდა ხელად არ იყო, რომ საქმედაც გადაგვექცია.

ნათქვამია: „იერუსალიმში მიმავალი ხიფათს არ უნდა ერიდებოდესო. წინდა-წინვე უნდა ელოდეს: შიმშილს, წყურვილს, სიცხეს, სიცივეს, გმობას, დევნას და სხვა და სხვა მრავალ-გვარ საფრხეებსო; უნდა მზად იყოს და ესეები ყველა მოთმინებით მიიღოსო!" ეს ძველი თქმულობა ჩვენც იმ თავითვე ჩვენის ცხოვრების კანონად გვქონდა მიღებული; ვხედავდით და ვხედავთ, რომ შორს იყო ის ჩვენი სამწირო იერუსალიმი, თვალით არა სჩნდა; მაგრამ მაინც მივეშურებოდით: თუ თვით ჩვენ ვერ ვეღირსებით იქ მისვლას და იმ „წმიდა წმიდათის" თაყვანის-ცემას, რამოდენიმე გზას ხომ მაინც გავივლით და ის ხელ-ახლად გასავლელად აღარ გაუხდება ჩვენ შვილებს! სადაც ჩვენ საუკუნოდ დაგვილამდება, ისინიც მაშინ იქიდამ დაიწყებენ წინ მსვლელობას და ამ გვარად, თუ შვილები ვერა, შვილის-შვილები მაინც, უეჭველად, მიაღწევენ ჩვენი ქვეყნის კეთილ დღეობამდე.

აი ეს არის ის უცნაური რაღაც, ჭირში რომ გვანუგეშებს და უბედურობის დროს გვასულდგმულებს! ამის

(დროების) ფელეტონი, 25 დეკემ.

## მწყემსის მოგონებანი*)

მოვიდა შემოდგომა, მწყემსებმა და მათარჩენმა ხალხმა ნახეს, რომ მთელი ზაფხული მთაში ცხვართან გავატარე, ნახეს რომ არც სახლი, არც კარი მქონია იქ და როგორც უმეტესობა მოელოდა არც შაქარსავით დავმდნარვარ, არც მომწყენია და არც ავად გავმხდარვარ, თუმცა-კი ბევრი მხაპუნა წვიმა დამდენია თავზედ. ყველანი წყნარ-წყნარად დარწმუნდნენ, რომ გულით გამოვეკიდე ამ საქმეს და ადვილად თავს არ დავანებებდი. ამ ხნის განმავლობაში მე დავუმეგობრდი რამდენიმე მეცხვარეს და ყველაზედ მომეტებულად ეროს სტეფანწმიდის მცხოვრებს სვიმონა ბიბურს, რომელიც პირველისავე შეხვედრის შემდეგ მაკვირვებდა თავის მოაზრებით და ჭკუის გამჭრიახობით.

სვიმონა სწორედ წარმომადგენელი იყო ნამდვილი მთის მეცხვარეებისა. მარდი, გონიერი, სამართლიანი, რომელიც უბრალოდ ჭიასაც არ აწყენინებდა, მაგრამ თუ უსამართლობას ნახავდა, იმის გული აიმღვრეოდა ჯავრით და ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, გადასახდელად საშუალება ეპოვნა.

ლამაზი, ტანადი, სამართლიანი და ყმაწვილი სვიმონა ყველასგან საყვარელი იყო, ყველას სურდა იმისი „ნამგალობა"*) და რასაკვირველია ასეთი კაცი ჩემთვის სხვაზედ მეტად ფასობდა; იმის გამოცდილება და ცხვრის ხელის შეწყობა ხომ ხევში სამაგალითოდ იყო გამხდარი.

როგორც ზევითა ვსთქვი, მოვიდა შემოდგომა, მაგრამ მე ნამგალა ვერ ავირჩიე და ვერ ავირჩიე! სწორედ უნდობლობა იყო მიზეზი და გადავწყვიტე მარტოდ ჩემის მწყემსებით წავსულიყავ ჩრდილოეთში, სადაც ზამთრობით მთის ცხვარი იკვებება; და რამდენად ძნელია იმ აუარებელი რიცხვის ყაზახის სტანიცების გავლა მარტო ერთის ფარისათვის და ხუთიოდ-ექვსის კაცისთვის იმას თითონ ჩვენის მოგზაურობიდგან შეიტყობთ.

ერთს საღამოს, ის იყო ცხვარი საძოვრიდგან მოვრეკეთ ბინაში*) და ანთებულ ცეცხლს გარშემო უსხედით, როდესაც ძაღლი წამოვარდა და ყეფით გაექანა ბეგისკენ; ყმაწვილი ბიჭი, რომელიც იქვე იჯდა, გამოეკიდა ძაღლს, რათა მოეშორებინა ჩვენკენ მომავალის კაცისათვის.

— საღამო მშვიდობისა, მოსვლის უმალ წამოიძახა მოსულმა.

მწყემსები მოსულს, როგორც სტუმარს, ჩვეულებისამებრ წამოუდგნენ ფეხზედ და მიესალმნენ.

— მოხვედ მშვიდობით, სვიმონაუ! თითქმის ყველამ ერთად ვუპასუხეთ და მოვიწვიე ჩემს გვერდით დამჯდარიყო მთაში სახელ-განთქმული მწყემსი. როდესაც ყველანი დავსხედით, შევჭამეთ ცოტაოდენი პური, სვიმონამ დაიწყო:

— მე შენთან მოვედ.

— რაი ანბავია?

— ნამგალაობა გვწადის შენთან.

მე გაკვირვებით შევხედე, რადგანაც მე თითონ ვეძებდი ნამგალებს და ვერ მეშოვნა.

— რაისთვი არა, მე თავად ვეძებდი ნამგალებს. მიპასუხე გახარებულმა.—

*) იხ. „დროება", № 268.

*) ნამგალა—ამხანაგი.

*) ბინას ეძახიან ყველა იმ ადგილს, სადაც ღამე ცხვარს აყენებენ. ზაფხულის განმავლობაში ბევრჯელ თვეში რვაჯერ იცვლება ამ გვარი ბინა.

ბრალია, რომ ჩვენ ჩვენი პირადობა საზოგადოსათვის შეგვიწირავს და არც სხვისი კერძოობა დაგვიზოგნია, როდესაც ის ჩვენდა საწინააღმდეგოდ, ჩვენდა ხელის შემშლელად, სადმე გზაზედ გადაგვღობებია...

მართალია, ყოველ დღიურ მოვლინების დევნის დროს, ხან-და-ხან, წვრილმან რამეებსაც გადავყოლივართ, მაგრამ ვინ უნდა ჩაგვითვალოს ეს ნაკლულევანებად? ვინც თავ-გადადებით გვიყვარს იმისი მცირე რამე დიდად გვეჩვენება! განა დედაა ის, რომელიც თავის შვილს მხოლოდ მძვინვარე მხეცს უგერებს და პატარა ჭიას კი ყურადღებას არ აქვს?..

არა, ვინც რა უნდა სთქვას და ჩვენ კი, როდესაც იმ თავიდამ აქამდე, ჩვენს ნამოქმედარს მოვიგონებთ, სასინანულოს ვერისა ვხედავთ და გულიც სანუგეშოდ გვიძგერს.

დღიური მოვლინებების საწინააღმდეგოდ ჩვენ წილად გვხდომია, საქართველოს ყოველ ნაწილზედ უფრო უკრიმანჭულესი მხარე—იმერეთი! აქ დიდი ხანია, რაც კერძოობას საზოგადო მუშა ყოველთვისა და ყველასაგან საქოლევლად განწირულია!

აქ, რასაკვირველია, მოგახსენებთ მხოლოდ იმ მავნებელ უმეტესობაზედ, რომელიც შემდგარია სამ გვარის ხალხისაგან: ერთია ბოროტ-განმძრახველი, მეორე უმეცარი და მესამე „კუდაბზიკა“. ამათგან ბევრი ცუდი რამ მოსვლია ჩვენს ქვეყანას და კიდევ უარესებსაც უნდა მოელოდეს, მაგრამ.... რა უნდა მოვთხოვოთ უმეცრებს? ან რა უნდა შევაგონოთ იმ „კუდაბზიკებს“, რომლებისათვისაც სულ ერთია: მაღლა იდგომებიან თხების ადგილზედ, თუ ძირს სადმე, სანეხვეზედ, ოღონდ კი შემთხვევა მიეცით, რომ თავისი კუდი, ერთის წამით მაინც, გააბზიკონ? და რა უნდა ვუთხრათ.... მაგრამ, რომ კიდეც რამ უთხრათ, რას შეგვეპუებიან ის ბოროტ განმძრახველები, რომელნიც იმ თავითვე მოფიქრებულად მოქმედობდნენ თავის სასარგებლოდ და ახლაც იმისთვის ფარისევლობენ, რომ ქვეყნის ჭირი თავის საკუთარ ლხინად გაიხადონ!? ჩვენს იმერეთს „გადახდა გადასავალი, უფრო უარესს მოელის“ ამ ბატონების წყალობით, რომელთაც მოქმედების ისტორია მრავალ გვარად გრძელია და მრავალ-ფერად შავი. ჩვენ შეგვიძლია თვითო-თვითოდ ჩამოვთვალოთ ყველა, მაგრამ რა საჭიროა, საკმაოა ერთი მაგალითიც და ამისათვის მივუთითებთ მხოლოდ სათავადაზნაურო ბანკზედ, რომელიც ჯოჯოხეთის მანქანად გაუხდა ხალხს.

რა ვისარგებლეთ ამ ბანკით, ან ზნეობითად და ან მატერიალურად? უმისოდაც ცოტათი შერყეული ზნეობა, ბანკის არჩევანებმა ქვესკნელამდი ჩააძვრინეს. ადრე ცუდ საქმეების მორიდებითა და სიფრთხილით, ქურდულად სადმე სჩადიოდნენ და ახლა ბანკის არჩევანებმა კი ისეთი მხარი მისცა, რომ უპირბადოდ მოედანზედ სანავარდოდ გამოიყვანა!.... ნაწყდა სირცხვილის ძაფი და გაშრა პირის წყალი.

ახლა ვნახოთ მატერიალურად რა მოგვიტანა ბანკმა:

რაც ჩვენს მემამულეებს და ერთად მასთან მთელს ხალხსაც დღე ადგება, ის მტრისას იყოს! ძერპისა და უგნურის მეტი, ყველა ნათლად ჰხედავს, რომ თუ არა მოვახერხეთ-რა, ბანკის წყალობით იღუპება ჩვენი მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დაპოხიერებული ადგილ-მამული ის წმინდა მამულის-შვილთა სამარე, შემოსეულ ხალხის ხელში მუქთად გადადის.

და მაშინ რაღა უნდა ჰქნას ჩვენმა დამშეულმა თავად-აზნაურობამ? უნდა შინაურობაში, ოქოქაანთ ქორივით, ერთმანეთს დაერიონ და დასჭამონ. უნდა ამოიფხვრან ძირიანად და დანაშთენებსაც სხვები წაუკითხეენ განჩინებას მახათაზედ!

ამის ნიშნები დღესაც მოჩანან და და ეს არის, რომ დღეს ჩვენში ყველა დანაღვლიანებულია და ბედს ემდურის! ყველა გულ-ნატკენი არის [illegible] და იძახის:

„—არ გვეგონა თუ ეს მოგვივიდოდა და ამ დღეში ჩავვარდებოდით?“

მაგრამ, ვაი რომ ამის თქმის ნებაც აღარა აქვსთ! აბა ცოტა უკან მივიხედოთ და მოვიგონოთ წარსული დროები: ბანკის დაარსების დროს ყმაწვილ-კაცობა ორად იყო გაყოფილი. ერთს უნდოდა ქვეყნისთვის ხორბლის დათესვა, მეორე კი ეკალსა სთესდა, იმ ეკალს, რომელიც ახლა ამოვიდა და გვამში ეჩხვლიტებათ; და ეს ვისი ბრალია, თუ არ ჩვენი საზოგადოებისვე? ის არ იყო, რომ ეკლის მთესველებს მხარს აძლევდა, ახალ-თაობის იდეალად აღიარებდა მაშინ? განა არ გაგვიფრთხილებია? როგორღა მართლულობენ დღეს თავს, რომ არ გვეგონა და არავის გაუფრთხილებივართო? თუ ნათქვამი აღარ ახსოვსთ, ნაწერში მაინც ჩაიხედონ! აი რას შევტიროდით მაშინ ჩვენ:

„1) ფრთხილად! ამ ბანკს ნანგად გვაპარებენ, რომ დაგვაძინონ და მერე გაგვცარცვონ.

„2) ფრთხილად!.. ნუ ხუჭავთ განგებ თვალებს. შეხედეთ ეკალი ითესება!.. ამ თავითვე უნდა სიფრთხილე, თორემ რაკი ეკალი ამოვა, მერე ძნელია მისი მოსპობა, რაც უნდა თავი ასხეპოთ, მაინც ახალ-ახალს ამოიყრის!

„3) სამართებელი კარგია ჭკვიანის ხელში და ყმაწვილს რომ მიანდოთ, ხელს გაიჭრის. სწორედ ამ სამართებლის მზგავსად უნდა ვუყუროთ დღეს ჩვენს ბანკს. ჯერ არ შეგვიძლიან ამის მოხმარება, ჯერ არა ვართ მომზადებული და თუ ეს პირობები არ შევცვალეთ, ბანკი ყელს გამოგვჭრის, და გვკლავს“!

„4) მოვა დრო, რომ იძახდეთ: „არ გვეგონა“ და „შევსცდითო“; მაგრამ ეს დაგვიანებული „არ გვეგონა“ მაშინ ვეღარას გიშველისთ: და სხ. ამისთანეები ბევრი რამ მოვახსენეთ კრებას.

მაგრამ რა გამოვიდა? ის მაშინ მრისხანეობდა ჩვენზედ:—ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ ენას მოგჭრითო! იძახოდენ და ასობით მოიწევდენ ჩვენზედ ხანჯალ-ამოღებულები. იმათი წამქეზებლები კი, განზედ გამდგრები იცინოდნენ და დღესასწაულობდნენ გამარჯვებას.

აბა დაფიქრდეს ახლა ის საზოგადოება, რომელიც მაშინ ისე გულდინჯად ჰყვიროდა:—„ბენქი! ბენქი! ბენქმა გაგვასწოროსო! და სხვ. რატომ ახლა აღარ ყვირიან:—ბენქმა გაგვასწოროს? მგონია იმიტომ, რომ ახლა ლოდის მეტი ვეღარა გაასწორებსთ-რა!..

ერთი კიდევ ეს უნდა მოვახსენოთ ჩვენ საზოგადოებას: დღეს იმათ შეუნიშნავსთ ზოგიერთ ახალ-თაობას კაცის უკულმართობა და, გულ-ნატკენები, საზოგადოდ ახალ-თაობას აყვედრიან ამას; მაგრამ რა ნება აქვსთ, რომ ჩვენთან ეს წაიცდინონ? აბა ერთი ისიც გვითხრან, რომელ ბანაკიდამ ბძანდებიან ის დამნაშავე პირები: ჩვენი წრიდამ, თუ იმ წრიდამ, რომელიც ჩვენგან დაგმობილი იყო, მაგრამ თვითონ ეგენი კი მხარეს აძლევდნენ? აკი ვაფრთხილებდით, აკი ვეუბნებოდით, რომ ეგ ხალხი სანდო არ არი, ჩვენ გაქედილ ხატს ჩვენ უკედ ვიცნობთ-მეთქი! არ დაგვიჯერე? მაშ ახლა სიმართლე აღარა აქვსთ, რომ ხმა ამოიღონ! რაც დასთესეს, ისვე მოიმკეს!

მომავალი კიდევ უფრო გაამწარებსთ. მაგრამ რა გაშოვა, რომ კიდეც გავაფრთხილოთ იმისთანა ხალხი,

---

მაგრამ რაისთვი დაიგვიანეთ, რაისთვი აქამდინ არ შემატყობინეთ, ხომ იცოდით რომ მე თავადაც ვეძებდი ნამგალებს?

— ჰაი, ჰაი, ვიცოდით, მაგრამ ჩვენ არ გვჯეროდა, რომ მართლა ხელს მოჰკიდებდი მემცხვარეობას... მე წინადვე მინდოდა შენთან მოსვლა, მაგრამ ამხანაგები არ მერჩებოდნენ და იმათ-კი ვერ ულალატებდი.

— შენ ანბობ, რომ ამხანაგებს არ ულალატებდიო და დაიბეზღე-კი. ახლა მე რომ გადავეკიდო იმათ?

— აუ!.. ეხლა შენ ჩვენი ნამგალა ხარ, შენთან დამალვა ღვთისაც საწყენია და კაცისაც... ამხანაგმა ყველა უნდა იცოდეს, ყველა სპარსანგელოზის მადლმა!

— შენ რაღად გინდოდა ჩემი დაახლოვება?

— რათა?.. იმად რომ შენ მწიგნობარი ხარ.

— მერე?

— მერე ის რომ, ყაზახები შარიანები არიან და შენისთანა კაცი-კი თავს გაიტანს იმათთან.

— ძალიან გაწუხებენ ყაზახები?

— ძალიან, წმ. გიორგის მადლმა!.. აბა, რუსის შარი არ იცი?.. ისინი უშაროდ ისე ვერ გასძლებენ, როგორც თევზი უწყლოდ!

ამ სიტყვებით გავათავეთ ჩვენი ლაპარაკი და ყველამ ავიღეთ ნაბდები, გავედით „თეოზედ“*) და მივწექით დასაძინებლად.

მხოლოდ არ ეძინა სამს მორიგ ყარაულს, რომელნიც გარს უვლიდნენ ცხვრებს და უფრთხილდებოდნენ, რომ არ გაჰპაროდნენ.

მეორე დილით ალიონის აწევასთან ერთად, მოპირდაპირე მთიდგან, მზემ ჯერ ამოიჭყიტა, მერე ამოიწვერა სხივებით და ჩქარა იქაურობა დაჰფერა ოქროს ფრად.

ღამის ნამს, გამაცოცხლებლად ემოქმედა ხავერდის მგზავს ბალახზედ და ყვავილებზედ, რომელთაც ფერი დასწმენდოდათ, სასიამოვნოდ გადაშლილიყვნენ, თითქოს მზის სხივები უნდოდათ დაეტკბოთ თავიანთი მშვენიერებით.

მწყემსები წამოდგნენ, დაიბანეს პირი და ყაზახების დაშინებულებმა, ჩვეულებად დადებული სიტყვები წარმოსთქვეს: „ღმერთო დამიხსენ რუსის (ვითომ ყაზახის) შარისაგან“!

ცხვარი გავიდა საძოვარზედ, მედა, სვიმონა-კი ბინაში დავრჩით, რადგანაც მოლაპარაკება გვინდოდა ჩვენს მიმავალს მგზავრობაზედ და შესაერთებლად დღის დანიშვნა.

— თავი სარქალი*) შენ უნდა იქნა, დაიწყო იმან.

პირველში მე უარი უთხარ, რადგანაც ხამი ვიყავ, მწყემსების ჩვეულება და წესები არ ვიცოდი, მაგრამ სიმონა იქამდინ გადამეკიდა, რომ აღარ ვიცოდი უარი რა გვარად მომეხერხებინა.

— რად ითხოვ, რომ სარქლობა ვიკისრო, როდესაც ბევრი ჩემზედ გამოცდილი და დაჩვეული მწყემსი არის?

— იმადა, მიპასუხა იმან,—რომ შენ ყველგან მისვლა მოსვლა შეგიძლიან, შენ, თუ გაჭირდა, თავსაც გაიტანდი ჩვენ-კი ბედ-შავებივართ... თუ შენისთანა კაცი კრიჭაში არ ჩაუდგა რუსებს (ყაზახებს) ჩვენი კაცი, აბა, რა გახდების?

როგორცა ხედავთ ყველგანა სჩანდა ყაზახებისაგან შეწუხება მწყემსებისა, რომელთაც თავი ჰქონდათ მოძულებული ამ მშვიდობიანობისათვის დასახლებულებისაგან.

— მამასახლის-პრისტავიც ვეღარ გავაწვალებს დაუმატა სვიმონამ.

— განა ისინიც გაწვალებენ? ყაზახები რაღად?

— ღმერთმა ნუ იცის იმათი თავი! წამოიძახა გულ დაწყვეტით.—სანამ ბილეთს მოგვცემენ, კაცს სული ყელში მოებჯინების... ქვემოთკენ (ჩეჩენში) თუ არ პრისტავის ბილეთი არ

*) თეო—ფარის განაპირებით.

*) სარქალი—მწყემსებში პირველი ანუ მოთავე.

რომელიც საზოგადო და საქვეყნო რამეს ერთ კტრად გაჰყიდის. უმჯობესია, სხვებს მივმართოთ და ამათ კი მშვიდობით და გამარჯობით!..

აკაკი.

## დღიური

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ზოგიერთი განათლებული ახალგაზდა ქართველები, გამბეტტას უდროვო სიკვდილის გამო, თანაგრძნობით ტელეგრამმას გზავნიან გამბეტტას გაზეთის „*République Française*“-ის რედაქც აში.

* * *

შობა-ახალწლის დღესასწაულები იწყება და ტაროსიც სწორედ სადღესასწაულო დგას ამ ჟამად ჩვენს ქალაქში. მშვენიერი მზე, თბილი დღეები, არც თოვლი, არც წვიმა, არც ქარი; მხოლოდ ღამ-ღამობით ცივა და ისიც ისე კი არა, როგორც ამ დროს, შუა-ზამთარს, ქრისტეშობისთვის დამლევს, შეეფერება.

ამ კარგი ტაროსის წყალობით, ქალაქის ახლო-მახლო სოფლებიდამ დიდ-ძალი ხორაგეული და შეშა შემოდის ამ ჟამად ქალაქში და არც კვლავინდებულად ძვირად ისყიდება.

* * *

ერთს პეტერბურღის გაზეთში იწერებიან, ჩვენსა და სპარსეთის მთავრობას შორის მოლაპარაკება არისო ახლა იმის შესახებ, რომ სპარსეთის რკინის გზა, რომლის აშენებაც ინგლისის კამპანიას უკისრნია, რუსეთის რკინის გზებთან იქმნეს შეერთებულიო. სპარსეთის რკინის გზა, ამ პროექტით, თეირანიდამ ენზელზე გამოივლის და შემდეგ კასპიის ზღვის ნაპირა; აქედამ კი ბაქო-ტფილისის რკინის გზას უნდა შეუერთდესო.

* * *

ფოთიდამ გვწერენ, რომ ამ ქალაქში ყელის-ტკივილი (დივტერიტი) გაჩენილა. ფოთში ამ ჟამად მხოლოდ ორი ექიმი არისო, ერთი სამოქალაქო და მეორეც სამხედრო, მაგრამ ეს უკანასკნელი თითქმის სულ არ დადის ავადმყოფებთან, ასე რომ მთელს ქალაქს მარტო ერთი ექიმი ჰყავსო.

თუ ეს ამბავი მართალია, ურიგო არ იქნება, მთავრობამ მიაქციოს ყურადღება და ამ თავითვე, სანამ ეს საშინელი ავადმყოფობა გავრცელდებოდეს, მიაშველოს ერთი ექიმი კიდევ მაინც.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ. გ. ნ. სუნდუკიანცის პიესა „დაქცეული ოჯახი“ ქართულად გადმოუთარგმნიათ და ჩვენი დრამმატიული დასი ამ მოკლე ხანში ემზადება იმის წარმოდგენასაო.

* * *

ამბობენ, რომ ბლდანელი და ლოლაძე ერთხელ კიდევ აპირებენ ამ დღესასწაულებში შეტაკებასაო.

* * *

გუშინ აქაურს სამხედრო ოლქის სასამართლოში ხელ-მეორედ გაასამართლეს ის ხუთი ქუთათური ესადნიკი, რომელთაც პატარა ბიჭის დაჭერას და ერთის მანეთის წართმევას აბრალებდნენ. პირველი განსამართლების გარდაწყვეტილებით, ყველას ღირსება ჩამოხადეს და ციმბირში გაგზავნეს; ეხლა კი ყველანი გამართლდნენ.

* * *

ხევის უჩასტკის პრისტავი ბ. კალოუბანსკი გამოსულა სამსახურიდგან და მით განთავისუფლებულა ხევი და მთიულეთი მის ბძანებლობისაგან. 23 წელიწადი განისვენებდა ბ. კალოუბანსკი ხევში და მთიულეთში, 23 წელიწადი მართავდა ამ ადგილებს. მთის ხალხა გულ-უხვი, პურადი და სამსახურის მოყვარულია. მისგან სამსახურის თავის დანებებას სტირიან მამასახლისები, ურიადნიკები და ჩაფრები, რადგანაც ისინი ნამდვილს მამას მოაკლდნენ...

ახლად დანიშნულ იქმნა ბ. უარანგოზოვი, რომელიც თითონ მთისკაცია, აღზრდილი მთაში და მცოდნე ხალხის წესისა, ჩვეულებისა და ხასიათისა. ვიმედობთ, რომ მის გამოცვლასაც მარტო ურიადნიკები და ჩაფრები არ იწუხებენ, რადგანაც მეზობელს მეზობელზედ მეტი მზრუნველობა უნდა ჰქონდეს.

—

შობის დღესასწაულის გამო, შემდეგი ნომერი გაზეთისა გამოვა ოთხშაბათს, 29-ს.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** მეტად საზარალო პირი დაიჭირა საფრანგეთისათვის ამ მიწურულმა 1882 წელმა. თითქმის ერთი თვის განმავლობაში დალიეს სული სამ საუკეთესო საფრანგეთის შვილთ: ჯერ ლუი ბლანმა, მერე გამაჩენილ ადვოკატმა ლაშომ და ეხლა, 20 ამ თვეს, გამოჩენილმა, მთელი საფრანგეთის საქმეების მატრიალებელმა ლეონ გამბეტტამ. გამბეტტას დაკარგვა არა მარტო საფრანგეთს, არამედ მთელს ევროპას დაეტყობა. უფრო მეტად ეხლა იყო ძვირფასი გამბეტტას სიცოცხლე, როდესაც აწინდელ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ჟულ გრევის, მეტად მოერია სიბერე, გახშირებული ავად-მყოფობა ამ უკანასკნელ ხანებში; უეჭველია, გრევის შემდეგ, რესპუბლიკურ საფრანგეთს გამბეტტაზედ უკეთესი, ულირსეულესი კანდიდატი სხვა არა ჰყავდა ამ ჟამად საპრეზიდენტოდ. ჯერ ისეც, როდესაც გამბეტტა მხოლოდ უბრალო დეპუტატი იყო, ნათლად ხედავდა საფრანგეთი, რომ ყოველ შინაგან წყობილების ცვლილებებში, თუ უცხო ქვეყნებთან დამოკიდებულების დაჭერაში გამბეტტა იყო პირველი მოთავე, პირველი ხელმძღვანელი.

ლიონში დატუსაღებულ ემიგრანტს, რუსის რევოლიუციონერს კრაპოტკინს ჩამოართვეს ჩვენება ლიონის სასამართლოში. კრაპოტკინი ტუსაღის კარეტით მიიყვანეს სასამართლოში და თუმცა ბევრი პოლიციის მოხელეები ეხვია გარს ამ კარეტას და მიაქანებდნენ, მაგრამ ხალხმა მაინც შეამჩნია მისი სახე;—მას დიდი და გრძელი შავი თმა და წვერები აქვს, მკრთალი ფერი პირისახისა, რომელზედაც მწუხარებასა და ტანჯვის ნიშანი აქვსო.—პროკურორის გამოძიებით, ანარხიული მოძრაობის მოთავედ, წინამძღოლად საფრანგეთში კრაპოტკინი და ელიზე რეკლუ ყოფილან. პეტრე ლევანოვის სახელით კრაპოტკინი დასწრებია ლონდონში რევოლიუციონურ კრებაზე, როგორც ლიონის დელეგატი და მეტად აღმშფოთებელი სიტყვები წარმოუთქვამს.

—

**ოსმალეთი.** ამ უკანასკნელ ხანებში ხონთქარი ერთობ ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო ამის სასახლის წარჩინებულ კარის კაცობამ. საშინელი ენა-ტანიობა, ბეზღობა აქვთ გამართული ერთი-მეორეზე ამ წარჩინებულ პირთ. ხონთქარმა არ იცის რომელ ერთს დაენდოს, ვის დაუჯეროს, რომელ ერთს დაჰყვეს. ამას დაუმატეთ ხალხის ჩივილი დაპირებული რეფორმების შესრულების დაგვიანებაზედ. ხონთქარი გადაჰყოლია ამ ბეზღებას: დღეს ერთს, დღემდის ერთგულად ცნობილ პირს, აძევებს სასახლიდამ, ხვალ მეორეს და ამათ ალაგს ხშირად, რასაკვირველია, ულირსნი იჭერენ. ხონთქარი დაშინებულია. ვილაცას, მდაბალი წრისას, ამ წინა ხანებში რაღაც სათხოვარი ჰქონდა იმასთან. ძლივს ღირსებოდა ის სასახლეში შესვლას; როდესაც ჯიბისაკენ ხელი წაეღო, თხოვნის ამოსაღებად, ხონთქარს

---

ვამოდგები და პრისტავი-კი მამასახლისის მოწმობასა გვთხოვს...

— ეგ რა გასაჭირია, წელიწადში ერთხელ გინდათ ბილეთი.

— ერთხელ? ჩაიცინა იმან.—ერთხელ უნდა მაგრამ ვაი იმ ერთს აღებას?

— როგორ?

— აი როგორ, ჯერ ერთი ბილეთი საერთოდ ფარას, თავის მწყემსებით უნდა; მეორე სამ კაცს თითო, თითო ბილეთი...

— სამ კაცს რაისთვილა?

— იმისთვი, რომ ზოგი ჯერისთვის*) იგზავნების; ზოგი თივისთვი, ზოგსაც საქმე გაუჩნდების რამე... მერე საქონლისათვის ბილეთი**)! ჩემი მტერი ჩავარდეს მაგათ ხელში!.. ეხლა რაი გიანბო, გაიცან ცოტად ჩვენი ცხოვრება და მაშინ გაიგებ, რაიც დღე მწყემსებს ადგას.

— შენ უთუოდ გაგაჯავრეს რაზედმე და იმიტომ ლაპარაკობ ეგრე.

— ჰაი, ჰაი რო გამაჯავრეს!..

„შარშან დაიწყო სიმონამ ასინსკაში ცხორი მედგა და მე კი შინ მოვედი, ჯალაბი მომიკვდა, დამარხვა უნდოდა... შუა გული ზამთარი იყო, როდესაც კაცი მოვიდა ცხვრიდგან და შემატყობინა, რომ ჩვენს ფარეხს ცეცხლი მოჰკიდებოდა... შენს მტერს შეექნას აგეთი გული, როგორიც მე შემექნა. გამოვიქეც მამასახლისთან ბილეთისთვის. იმან პრისტავზედ გამილირა ხელი და პრისტავი-კი ქვეშეში სდგას; აქედან ქვეშემდე სამოცი ვერსი იქნება. წინ და უკან ას-ოცი-ვერსის გავლა ხუმრობა არაა, მერე ზამთარში და მთაზედ გადასვლ-გადმოსვლა ხომ რაილა გითხრა! მაგრამ მეტი ღონე რაი იყო? ვთხოვე მოწმობა: იმ ურჯულომ მანამ არ მომცა სანამ გებლის ფული ხუთი მანეთი არ გამომართვა. წაველ, ღმერთმა ხელი მომიმართა, მთას გადავრჩი, მშვიდობიანად გადაველ, მაგრამ პრისტავს რაიმე საქმე გასჩენოდა, თუ საქეიფოდ წასულიყო ქალაქში, შინ არ დამხვდა. იასაულებმა-კი მითხრეს ერთს თვეზედ ადრე არ დაბრუნდებისო. რაილა უნდა მეთქვა? გული სისხლად ივსებოდა: ჩემი სარჩო საბადებელი ცხორი იყო იმათ ფარახს ცეცხლი მოჰკიდებოდა, და მე-კი ბეჯითებით არ ვიცოდი სულ დაიწვა ცხორი, თუ გადარჩა რამე... ვიოხრე, ვიჯავრე და დაღონებული გამოვბრუნდი. გზაში ამიდგა ბუქი და კინაღამ თოვლმა დამარჩო... შინ რომ ჩამოველ, ვიფიქრე, ვიფიქრე და გულმა ველარ გამიძლო:—უბილეთოდ წაველ. ვიფიქრე; ჩემ შავ დღეს შევატყობინებ, თავს შევაბრალებ და გამიშვებს მეთქი. მაგრამ დარიელის ყაზახები დამხვდნენ, მთხოვეს ბილეთი და საით მოუტანდი, რაიც არ მქონდა? დამიჭირეს, გამიკრეს ხელები და ძაუგს ჩამიყვანეს, იქ ორი კვირა ვიყავ დაჭერილი, მემრე გამატანეს ეტაფს და ორი კვირა მომინდა, სანამ დუშეთს ჩავიდოდი. გული კი სივდებოდა და სივდებოდა!.. იქაც ერთი კვირა მომაგვიანეს და მემრე გამომიშვეს... მადლი უფალს ცხორი გადარჩენილიყო, მაგრამ ან რაილა გული უნდა მქონდეს ამის შემდეგ მაგათზედ, ან რაი შემიძლიან, რითი გადაუხადო?!!

იმ-სმა ლაპარაკმა მეც დამაფიქრა და მწუხარებით წარმომადგენინა ის უბედური დრო, როდესაც პატიოსანს მუშას შემწეობა და დახმარება ეჭირება პატიოსანი შრომისთვის! დამაფიქრა იმ ხალხის მდგომარეობამ, რომელთ ბედ-ილბალი ჩავვარდნიათ ხელში სხვა-და-სხვა უთავო მოთაურებს და მართვენ თავიანთ გემოვნებაზედ, სდებენ თავიანთგან გამოგონილს წესებს, ჰკრეფენ ჯილდოებს.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

*) ჯერი—ფქვილი, საჭმელი.

**) ჯერ ცხვარი მიდის, ამზადებენ ფარეხებს და მერე მსხვილ ფეხი საქონელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფიქრია:—სწორედრევოლვერსიღებსო, თვითონ დაესწრო „ესროლა“ რევოლვერი, რომელიც ამ უკანასკნელ ჟამს მუდამ ჯიბით დააქვს თურმე და საწყალი კაცი იქვე მოეკლა. ეს შემთხვევა გახმაურდა და მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაში.

პორტამ (ოსმ. მთავრობამ) განუცხადა საბერძნეთის პატრიარქს, რომ ფოტი პეროგლუს ამორჩევა იერუსალიმის საპატრიარქო კათედრაზედ იმიტომ იქმნა უკანონოდ ცნობილი, რომ ეს პეროგლუ მხოლოდ 27 წლისაა, და, მაშასადამე, კანონით არ მიუღწევია იმ წლამდე, რომ ეს თანამდებობა დაეჭირა.

—

ეგვიპტე, არაბი-ფაშა თავისის მომხრეებით უკვე გაგზავნეს კუნძულს ცეილონზე. მასთან გაგზავნილია კიდევ ექვსი სხვა ფაშა. ყოველი ღირსება ჩამოართვეს ამათ.

# განცხადებანი

—

გაიცემა იჯარით მამული თელავის მაზრაში ს. ყვარელში. საიჯარო მამულს შეადგენს: სამი დიდი ვენახები, სახნავ-სათესი და სამოვარი ადგილები, ტყე და ორი თვალიანი წისქვილი. არის აგრეთვე სახლი, მარანი და ყოველი საოჯახო შენობები და მოწყობილობანი.

მსურველს დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეუძლიან ელისაბედ სოლომონის ასულის მარჯანოვისაგან ქ. ტფილისში გოლოვინის პროსპექტზე მიროზოევის სახლებში ფოხტის სტანციის პირდაპირ № 44. (20—9)

---

1883 წ. 7 იანვარს
თბილისის კრუჟოკში იქნება

## ბალი

სასარგებლოდ შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელის თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა.
დაიწყება ღამის 9 საათ.
(9—3)

---

ექიმი—ბებია
## ნ. დ. გავრონსკი

გადავიდა ახალს სახლ. ზუბალოვისა ერევნის მოედ. და სასახლის ქუჩის კუთხეში. შესავალი ერევნის მოედანით.

ილიბს ავად-მყოფებს განსაკუთრებით დედაცთა და ბავშვების სატკივრებით მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 9 საათ. 11-მდის. (10—10)

---

ბ.ბ. მუშტართ ჩაისა

ჩვენის ფირმის უმორჩილესად ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება ბანდეროლობაზე ასოთ პ. და ს.

ძმანი პ. და ს. პაპოვები, სავაჭრო სახლი მოსკოვში. (10—9)

---

მომავალს 1883 წელს
საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „შრომა“

გამოვა იმავე პროგრამმით და მიმართულებით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

გაზეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლის—შვიდი მანეთი, ნახევრის წლის—ოთხი მანეთი, სამის თვის—ორი მანეთი და ხუთი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება:

ქ. ქუთაისში: გაზეთის რედაქციაში, ტფილისის ქუჩაზედ, ქურთოევის სახლში.

ქ. ტფილისში: შავერდოვის გაზეთების სააგენტოში.

ამ ქალაქთ გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Кутаисъ. Въ редакцію газеты „Шрома“.* (6—2)

---

გუნიბის მოედანზე
მომავალ დღესასწაულებში იქნება

## გამოფენა სურათებისა

ყველა სურათები საუკეთესო საფრანგეთის ხელოვნებისანი, მშვენიერად დახატულნი არიან ზეთის კრასკებით და იმედი მაქვს, დავიმსახურო მადლობა და ყურადღება პატივცემული საზოგადოებისა.

იქვე, ამას გარდა შეიძლება ნახვა, მუდამ დღე 10 საათ. დილის საღამოს 11 საათ.

შესანიშნავი

## ფენომენი

ქალიშვილი ელიზა, იშვიათი, საოცარი საკვირველება ამ საუკუნისა, რომელსაც დაბადებიდამ აქვს 12 წ. და იწონის-კი 478 გირვ., ე. ი.—11 ფუთ. 38 გირ., სიგრძე ბეჭებისა 3 ადლი და 2 გოჯი, წელში 3 ად. 6 გოჯ.

ეს ფენომენი უჩვენებიათ ბერლინში, ვენაში, დრეზდენში, პარიჟში, პეტერბურღში, ხარკოვში და კიევში.

ბერლინის პროფესორთა: ვირხოვის, ლანგენბერგის და სხვ. შემოწმებით ეს ფენომენი უნდა წარმომდგარიყო ტყუპებისაგან.

რადგან ეგეთი ფენომენის შეძენა მე მეტად ძვირად დამიჯდა, იმედი მაქვს, საზოგადოება ყურადღებას მომაქცევს. (2—2)

---

ჟურნალის «ივერიის» გამოცემაზედ

1883 წელსა (წელიწადი მეშვიდე).

მომავალს 1883 წელს სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც აქამომდე გამოდიოდა. მხოლოდ რედაქციამ მიიღო ყოველივე ღონისძიება, რომ ჟურნალი შინაარსით უფრო სრული იყოს და ყოველივე ღირს-შესანიშნავი მოვლენა, რომელიც კი მოხდება ან ჩვენს ცხოვრებაში, ან რუსეთისაში, ან უცხო ქვეყნებისაში, ჟურნალმა უყურადღებოდ არ დასტოვოს.

ჟურნალს აღუთქვეს თავის თანამშრომლობა ბევრმა ჩვენმა ძველმა და ახალმა მწერალმა. რედაქცია ეცდება, რომ რომანებსა და მოთხრობებს ჩვენის ცხოვრებიდამ უფრო მეტი ადგილი ეჭიროთ ჟურნალში, ვიდრე აქამომდე ეჭირათ. ეხლა რედაქციის ხელშია რამდენიმე მოთხრობა ჩვენის ცხოვრებიდამ, რომელნიც მომავალს წელს ჟურნალში იქნებიან დაბეჭდილნი.

უმთავრესი ყურადღება ჟურნალში მიქცეული ექნება შინაურს მიმოხილვას. აგრეთვე თვის-და-თვის თავს ჟურნალში იქნებიან შემდეგნი განყოფილებანი: რუსეთის მიმოხილვა, უცხო ქვეყნები, კრიტიკული წერილები, ახალი წიგნები, სამეცნიერო წერილები თეატრი და სხვ. გარემოებათა შესაფერად, რედაქცია ეცდება, რომ ყოველივე ამ განყოფილებათაგანი ვრცლად და წესიერად იყოს შემუშავებული. აგრეთვე, რადგან ჩვენში განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცემა არ არსებობს, ამისათვის რედაქციამ მიუმატა ჟურნალს პედაგოგიური განყოფილება, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს მიეცეთ ღონისძიება თვალ-ყური ადევნონ პედაგოგიის განვითარებას. ზოგიერთა ჩვენმა გამოცდილმა პედაგოგებმა აღგვითქვეს ამ საგნისათვის სამუდამო თანამშრომლობა.

„ივერიაში“ მიიღებენ მონაწილეობას შემდეგნი პირნი: დ. ზ. ბაქრაძე, ი. ბაქრაძე, მკ. ბაბაშვილისა, გ. ბაბაშვილი, ი. ბოგებაშვილი, თ. რაფ. ერისთავი, გ თუმანიშვილი, მგ. იოსელიანი, ნ. ლომაური, ი. მეუნარგია, ა. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი), ა. ნანეიშვილი, თ. ჟორდანია. ნ. ჟანანოვი, მ. ყიფიანი, გ. ყიფშიძე, სტ. ჭრელაშვილი, ნ. ხუდადოვი, მლ. ჯანაშვილი და სხვ...

ხელის-მოწერა ჟურნალს „ივერიაზედ“ მიიღება მხოლოდ მთელის წლის ვადით.

ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანეთი.

ვისაც ერთად შემოტანა გაუძნელდება, შეუძლიან ოთხი მანათი პირველს იანვრამდე 1883 წ. შემოიტანოს და დანარჩენი სამი მანათი პირველს მაისამდე.

სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ დაეთმობათ წელიწადში ხუთ მანათად, ან სამი მანათი პირველს იანვრამდე და ორი მანათი პირველს მაისამდე 1883წ.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტ ფ ი ლ ი ს შ ი: შავერდოვის სააგენტოში, ბულვარზე, ალექსანდროვის ბაღთან და ნანუკოვის და ჯაბადრის სააგენტოში, ბულვარზედვე, ბელოვის სახლში; აგრეთვე რედაქციაში, ყოველ-დღე დილის რვა საათიდამ ათ საათამდე, რედაქცია იმყოფება, გოლოვინის პროსპექტზედ (ბულვარზედ), ონანოვის სახლებში, № 22, სადგურის (კვარტირის) № 9. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ. Въ Редакцію журнала „ИВЕРІЯ“.

4—2 რედაქტორები { ილია ჭავჭავაძე. ი. მაჩაბელი.

---

შოგის დღესასწაულების განმავლობაში.

ბეკკერის თეატრი

გუნიბის მოედანზე.

მშვენივრად მოწყობილი სცენა ელექტრონული გაბადებით.

შაბათს 25, კვირას 26 და ორშაბათს 27 დეკემბერს




გამოჩენილის რუსეთის და პრუსიის სასახლის მაგიკისგან

პროფესორი ბეკკერისგან

წარმოდგენილი იქნება მუდამ დღე ორ-ორი დიდი

ფანტასტიკური გამოჩენება.

ყოველი წარმოდგენა შესდგება ახალი პროგრამმისაგან, საკვირველ გამოჩენებთაგან და სხვათა შორის წარმოდგენილი იქნება ჯერ აქ არ ნახული

სულთა და აჩრდილთა გამოხმობა
ანუ
მცენარენი მკვდართაგან

ფანტაზიური სცენები, ლანდისებრ მოჩვენებით და განქრობით სულთა, მოჩვენებათა, აჩრდილთა, ჩონჩხთა, ვეშაპთა, ვიქთა, სატანათა და ჯანდაბათა.

ამ წარმოდგენებით გაკვირვებას მოსდიოდა მთელი დედამიწის ქალაქები.

დაწვრილებით ცნობანი აფიშებში.

დღის წარმოდგენები დაკლებულის ფასებით, დაიწყება 12 საათზ. შუადღისა; საღამოსი, ჩვეულებრივის ფასებით, 8 ს. საღამოისა.

ანონსი. ბ. ბეკკერის წარმოდგენები ტფილისში 6 იანვრამდის გაგრძელდება.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Декабря 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი